



საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
მეცნიერებისა და პროპაგანდის მთავარი სამმართველო

= 48544  
3

**რეკომენდაცია**

ხახვის თესლის ერთ ფელიწალზე მიღების  
შედეგად

ხახვის თესლის მოყვანას მისდევს ჩვენი ქვეყნის ხახვის მწარ-  
მოებელი თითქმის ყველა რაიონი. იგი ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ რა-  
იონებში ძირითადად სამწლიანი, ხოლო სამხრეთში ორწლიანი კუ-  
ლტურის სახით მოჰყავთ.

ჩვენს პირობებში (სამხრეთი ზონა) ხახვი მოჰყავთ ორწლიანი  
კულტურის სახით: პირველ წელს თესლის თესვით იღებენ ბოლ-  
ქვს, ხოლო მეორე წელს ბოლქვების დარგვით — თესლს.


იმის გამო, რომ სათესლე ბოლქვების მიღება, მოსავლის აღე-  
ბა, დახარისხება, შენახვა, შემდეგ მისი დარგვა და თესლის მიღება  
საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, აგრეთვე თესლის მისა-  
ღებად ორი წელია საჭირო (სამხრეთ ზონაში), თესვის ვადების შე-  
რჩევით (როგორც ეს ჩატარებული ცდებით დადასტურდა), შესა-  
საძლებელია ერთ წელიწადში დაბალი თვითღირებულების ხახვის  
თესლის მიღება.

41554  
— 483

აგვისტოს შუა რიცხვებში ნათესი ხახვი ზამთარში შედის 4—5  
ფოთლის ფაზაში. ზამთარში ხანგრძლივი დაბალი ტემპერატურის  
გავლენით მცენარე გადის იაროვიზაციის (განვითარების) სტადიას,  
გაზაფხულზე (მაისის თვიდან) გამოაქვს საყვავილე ღეროები და  
აგვისტოს დასაწყისში იძლევა სრულად მომწიფებულ თესლს.

აღნიშნული წესით ხახვის თესლის მოსავალმა 3ა-ზე შეადგინა  
4,0 ც, ხოლო დარგული ბოლქვებიდან—4,56 ც. 1 ც თესლის მიღე-  
ბაზე კი თვითღირებულებაში შეადგინა შესაბამისად 429,06 მან. და  
1385 მან.

ერთ წელიწადში ხახვის თესლის მიღება შეიძლება, როგორც  
თბილისის საგარეუბნო ზონაში (როგორც ეს გარდაბნის რაიონის  
ულიანოვკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში შემოწმებით  
დადასტურდა), ისე აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ სარწყავ  
ზონებში ზღვის დონედან 500 მ-მდე. ამისათვის საჭიროა: საადრეო  
კომბოსტოს, საადრეო კიტრის, საპარკე ლობიოს და საადრეო კარ-  
ტოფილის მოსავლის აღების შემდეგ ნიადაგი გაიწმინდოს წინამორ-  
ბედი კულტურების ნარჩენებისაგან, 1 3ა-ზე უნდა შევიტანოთ 40-50





ტ გადამწვარი ნაკელი. ან მინერალური სასუქები (თუ სასუქები შეტანილია წინამორბედი კულტურებისათვის, დოზების ოდენობა მცირდება): ფოსფორი 35 კგ, კალიუმი 55 კგ უნდა შევიტანოთ ხვნის წინ, ხოლო (ჰა-ზე 50 კგ მოქმედი ნივთიერება) უკეთესია ვეგეტაციის პერიოდში ორჯერადი გამოკვების სახით მიეცეს. პირველი გამოკვება ტარდება 1—2 ნამდვილი ფოთლის ფაზაში, მეორე 5—6 ფოთლის ფაზაში. გამოკვებას უნდა დაეუკავშიროთ მორწყვა და კულტივაცია.

სასუქების შეტანის დროს უკეთესია თუ ვიხელმძღვანელებთ ადგილზე შედგენილი აგროქიმიური კარტოგრამებით.

ხვნა უნდა ჩატარდეს 25—27 სმ სიღრმეზე 10—15 დღით ადრე თესვამდე. თესვის წინ ტარდება ღრმა (10—12 სმ) კულტივაცია. იფარცხება ჯვარედინად და ითესება. ჰა-ზე საჭიროა 8-10 კგ თესლი. თესვის ჩატარება უმჯობესია მანქანით (სონ-2,8 სკოსმ-2,8), ფართომწკრივიან 45 სმ მწკრივთაშორისებით, ან ვიწრომწკრივიან 22,5 სმ-ის დაშორებით ხუთმწკრივიანი (22,5×4+56 სმ) ზოლების სახით.

მაღალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა თანაბარი აღმონაცენის მიღება, რისთვისაც საჭიროა თესლის თესვის-თანავე რწყვის ჩატარება, ვეგეტაციის პერიოდში კი საჭიროა: ერთი ან ორი მარგვლის, გამეჩხრების (ორჯერ), 2—3 კულტივაციის, 5—6 რწყვის ჩატარება. პროფილაქტიკის მიზნით ხახვის ჭრაქის წინააღმდეგ საჭიროა 1%-იანი ბორდოს ხსნარით შესხურება 2—3 ნამდვილი ფოთლის წარმოქმნიდან, ხოლო ავადმყოფობის გამოჩენისთანავე სისტემატურად.

გამეჩხრება ტარდება ორჯერ: პირველი—2-3 ფოთლის ფაზაში მცენარეებს შორის 3—4 სმ-ის დატოვებით, მეორე—4—5 ფოთლის ფაზაში მცენარეებს შორის 10—15 სმ-ის დატოვებით. ამ დროს 22,5 სმ მწკრივთაშორისებით დათესილი ხახვი საფოჩედ აიღება მწკრივთგამოშვებით. დარჩენილი მწკრივები (45 სმ-ის დაცილებით); თუ საჭიროა კიდევ გამეჩხრდება. ამ მცენარეებიდან ვითარდება (მაისის თვიდან) საყვავილე ღეროები, რომელიც აგვისტოს დასაწყისში იძლევა სრულად მომწიფებულ თესლს. თესლის აღება ხდება შერჩევით, დაუგვიანებლად.

აღნიშნული მეთოდით მიღებული თესლი საცხებით ვარგისი  
ხახვის ერთჯერადი წარმოებისათვის როგორც საფოჩედ, ისე სასა-  
ქონლო ბოლქვის მისაღებად.

აგვისტოს ვადაში ხახვის თესვით მიიღება აგრეთვე როგორც  
საგვიანო (ნოემბრის თვეში), ისე ზეადრეული (მარტის ოვიდან)  
საფოჩე ხახვი, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც ღია გრუნტიდან სხვა  
ბოსტნეული კულტურების მოსავალი მცირეა.



3



შევ. 1306

უე 91563

ტ. 500

გადაეცა წარმოებას 10/VII-77 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 10/II-77წ. ინაწუობის  
ზომა 6X9,5. სასტამბო თაბახი 0,5, სააღრ.-სავამომცემლო თაბახი 0,25

უ ფ ა ს ო

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი  
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტამბა,  
თბილისი-31, დიღომი.

Типография Грузинского ордена Трудового Красного Знамени  
сельскохозяйственного института, Тбилиси-31, Дигоми.

МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА ГССР

Главное управление науки и пропаганды

---

**РЕКОМЕНДАЦИЯ**  
**к получению семян лука за один год**

(На грузинском языке)

**Составитель Ш. Х. Тандашвили**

Тбилиси—1977

4848/69



THE UNIVERSITY OF CHICAGO  
LIBRARY  
1200 EAST 58TH STREET  
CHICAGO, ILLINOIS 60637  
U.S.A.